კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობა

დამტკიცებულია რექტორის 2021 წლის 10 თებერვლის #0221-11 ბრძანებით

2021

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტით განისაზღვრება შპს ,,კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მათი ეფექტიანობის შეფასება.

1.2. უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე ყველა პროცესის (მათ შორის სწავლა-სწავლების, კლინიკური, სამეცნიერო-კვლევით და ორგანიზაციულ-მმართველობით სფეროებს მიკუთვნებული პროცესების) (შემდგომში - „პროცესები“) შეფასებას.

1.3. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენების მიზანია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების, პროცესების, რესურსების (როგორც ადამიანური, ისე მატერიალური) შეფასება და შეფასების შედეგების საფუძველზე მათი ეფექტიანობისა და შემდგომი ხარისხის გაუმჯობესება.

1.4. უნივერსიტეტში წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებასა და ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლის სტრუქტურა, საქმიანობის წესი და კომპეტენციები რეგულირდება უნივერსიტეტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებებით.

2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

2.1. უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის შემდეგი მექანიზმები:

2.1.1. დაინტერესებული მხარეების (სტუდენტები, პერსონალი, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) გამოკითხვა;

2.1.2. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და ანალიზი;

2.1.3. სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება;

2.1.4. საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური თვითშეფასება;

2.1.5. პერსონალის საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშების ანალიზი;

2.1.6. სტრუქტურული ერთეულების ყოველწლიური ანგარიშების ანალიზი;

2.1.7. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და ანალიზი.

2.2. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები მოიცავს ისეთი მიმართულებების შეფასებას, როგორებიცაა:

2.2.1. საგანმანათლებლო პროგრამები და სწავლა-სწავლება;

2.2.2. პერსონალის საქმიანობა;

2.2.3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;

2.2.4. ორგანიზაციულ-მმართველობითი პროცესები;

2.2.5. მიწოდებული სერვისები და რესურსები;

2.2.6. საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით განხორციელებული აქტივობები;

2.2.7. ინტერნაციონალიზაცია.

2.3. შიდა შეფასების მექანიზმების გამოყენებას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრულ სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით, წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული შინაარსის მიხედვით.

2.4. უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები მოიცავს:

2.4.1. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ავტორიზაციის, აკრედიტაციის, მონიტორინგის პროცესების ფარგლებში გაუმჯობესებების შესაძლებლობების გამოვლენას და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებას.

2.4.2. დამოუკიდებელი ექსპერტების შეფასებების ფარგლებში გამოვლენილი რეკომენდაციებისა და ნაკლოვანებების შეფასების საფუძველზე გაუმჯობესებების შესაძლებლობების გამოვლენას და მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებას.

2.5. წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული ძირითადი მიზნების მისაღწევად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია, უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის როგორც შიდა, ისე გარე მექანიზმების ფარგლებში განხორციელებული შეფასებების შედეგების გამოყენება ამავე დოკუმენტით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

3. საგანმანათლებლო პროგრამების და სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების და სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით:

3.1. მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურებს, აღნიშნულ პროცესებში ჩართულ პასუხისმგებელ პირებს, აღნიშნული პირების ფუნქცია-მოვალეობებს და საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მობილობისთვის ხელშეწყობის ვალდებულებას.

3.1.1. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს:

3.1.1.1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ზემოხსენებული დოკუმენტით გათვალისწინებული შესაბამისი პირების მიერ მომზადებულ დასკვნებს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილების შეტანისა და გაუქმების პროცესებში.

3.1.1.2. სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კმაყოფილების შეფასების კითხვარებს.

3.1.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და შედეგებს უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც განიხილავს ინფორმაციას და მიზანშეწონილობის შემთხვევაში იწყებს შესაბამისი პროცესების (როგორიცაა ცვლილებების შეტანა, გაუქმება და სხვა) ინიცირებას დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

3.2. უნივერსიტეტი ადგენს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს. მათი გამოყენების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზის პროცედურებს.

3.2.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, მონაცემის ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება,

მოიცავს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის დამუშავებას შესაბამისი ინფორმაციის გენერირებისთვის.

3.2.2. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება კურსდამთავრებულების მიერ სასწავლო პროცესის მიმდინარეობის და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება, მათი ანალიზი და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში გამოყენება, მოიცავს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვას.

3.2.3. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და შედეგებს უგზავნის პროგრამის ხელმძღვანელს, რომელიც განიხილავს ინფორმაციას და მიზანშეწონილობის შემთხვევაში მოქმედებს დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

3.3. მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის წესი, რომელიც ადგენს უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და განსაზღვრავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულებს, ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობასა და აკადემიური პერსონალის საათობრივი დატვირთვის მაქსიმალურ რაოდენობას.

3.3.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს: სტუდენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კმაყოფილების შეფასების კითხვარებს.

3.3.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოს, რომლებიც განიხილავენ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

3.4. მოქმედებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ძირითად საკითხებს.

3.4.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს სტუდენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის, დამსაქმებლების, სასწავლო ბაზებისა და კლინიკების წარმომადგენლების კმაყოფილების შეფასების კითხვარებსა და ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ მომზადებულ ყოველწლიურ ანგარიშს.

3.4.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის რექტორსა და ფაკულტეტის დეკანს, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, რომლებიც მიზანშეწონილობის შემთხვევაში

და კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და მისი განხორციელების ოპტიმიზაციის მიზნით.

3.5. მოქმედებს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის წესებს უნივერსიტეტის რესურსების გათვალისწინებით შემუშავებული სათანადო ინდიკატორებისა და სამიზნე ნიშნულების დადგენით.

3.5.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს სტუდენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ კმაყოფილების შეფასების კითხვარებს.

3.5.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც მიზანშეწონილობის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის დოკუმენტში ცვლილების შეტანისა და სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობის კორექტირების შესახებ.

3.6. მოქმედებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურებსა და წესებს უნივერსიტეტში მობილობით მიღებული სტუდენტების, სხვადასხვა შესაძლებლობისა და საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდაჭერისთვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით.

3.6.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს სტუდენტებისა და საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ კმაყოფილების შეფასების კითხვარებს.

3.6.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც მიზანშეწონილობის გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ცვლილების შეტანის შესახებ მისი ოპტიმიზაციის მიზნით. ამასთან, შედეგების შესახებ ინფორმაცია, რეკომენდაციებსა და წინადადებებთან ერთად, ეგზავნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტით, გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ და მონაწილე პირებს.

4. პერსონალის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით:

4.1. მოქმედებს აკადემიური თანამდებობების დაკავებისა და საკონკურსო კომისიის საქმიანობის წესი, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობების დაკავების პირობებს, პროცედურებსა და პრინციპებს.

4.1.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, შეიძლება მოიცავდეს კონკურსში წარმოდგენილ დოკუმენტაციას, გასაუბრების შეფასებებსა და სადემონსტრაციო ლექციების შეფასებებს.

4.1.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიურ საბჭოს რომელიც მიზანშეწონილობის შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს საკონკურსო პირობების, პერსონალის მიმართ მოთხოვნების განსაზღვრისა და საკონკურსო პროცედურების გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით.

4.2. მოქმედებს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის აკადემიური, სამეცნიერო-კვლევითი, კლინიკური საქმიანობის მოთხოვნებსა და პროდუქტიულობის შეფასების ინდიკატორებს.

4.2.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

4.2.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს და შედეგებს უგზავნის შემდეგ პირებს: უნივერსიტეტის რექტორს; უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და ადამიანური რესურსების სამსახურს; უნივერსიტეტის სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურს. აღნიშნული პირები, მიზანშეწონილობის შემთხვევაში და კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ შესაბამის ღონისძიებებს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის ოპტიმიზაციის მიზნით. ამასთან, შედეგები წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის და აკადემიურ საბჭოებს და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით პერსონალის მეტი ჩართულობისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით, წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აქტიურად ჩართული პერსონალის წახალისებისა და უნივერსიტეტის სხვა აქტივობების დაგეგმვის საფუძველს.

4.3 მოქმედებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის პერიოდული შეფასების სისტემა, რაც მოიცავს სტუდენტების მიერ პერსონალის ყოველსემესტრულ შეფასებას შემუშავებული კითხვარების მეშვეობით.

4.4 გამოკითხვების რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაცია ეგზავნება ფაკულტეტის დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელებს, დეპარტამენტის ხელმძღვანელებს, შესაბამის პერსონალს მათი გამოყენებისა და მომავალში საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

4.5 მოქმედებს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასების სისტემა, რომელიც ეფუძნება უნივერსიტეტში არსებულ პერსონალის მართვის პოლიტიკას და მოიცავს დასაქმებულის თვითშეფასებას, მისი საქმიანობით დაინტერესებულ მხარეთა(სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების) კმაყოფილებას, რაც ფიქსირდება შესაბამისი კითხვარების შევსებისას; ასევე, დასაქმებულის შეფასებას უშუალო ხელმძღვანელის მიერ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მიღწევაში შეტანილი წვლილის შესახებ.

5. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით:

5.1. მოქმედებს კვლევის მხარდამჭერი მექანიზმებისა და დაფინანსების წესი, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი პროცესების მხარდამჭერ და წამახალისებელ მექანიზმებს და ადგენს კვლევების დაფინანსების საჯარო, სამართლიან და გამჭირვალე დაფინანსების სისტემას.

5.1.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კმაყოფილების შეფასების კითხვარს და უნივერსიტეტის სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურის ყოველწლიურ ანგარიშს.

5.1.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის რექტორსა და უნივერსიტეტის სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურს, რომლებიც მიზანშეწონილობის შემთხვევაში და კომპეტენციის ფარგლებში გეგმავენ გასაუმჯობესებელი აქტივობებს, მათ შორის, შესაძლო ცვლილებებს კვლევის მხარდამჭერი მექანიზმებისა და დაფინანსების წესის ოპტიმიზაციის მიზნით.

5.2. მოქმედებს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებსა და პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის შეფასების ინდიკატორებს.

5.2.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიურ ანგარიშს (რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს ინფორმაცია პერსონალის ციტირების ინდექსის, გამოქვეყნებული პუბლიკაციების, სამეცნიერო კონფერენციებსა თუ ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ), აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

5.2.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიურ საბჭოს და უნივერსიტეტის

სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურს, რომლებიც მიზანშეწონილობის შემთხვევაში და კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ შესაბამის ცვლილებებს პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესის ოპტიმიზაციის მიზნით. ამასთან, შედეგები წარმოადგენს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აქტიურად ჩართული პერსონალის წახალისების და სხვა ღონისძიებების დაგეგმვის საფუძველს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით პერსონალის მეტი ჩართულობისა და შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

5.3. მოქმედებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის აფილირების შინაარსსა და აფილირების პროცესთან დაკავშირებულ წესებს.

5.3.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შეფასების კითხვარს

5.3.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს განიხილავს სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურთან ერთად, რის შედეგადაც იგეგმება გასაუმჯობესებელი აქტივობები, მათ შორის, შესაძლო ცვლილებები აკადემიური პერსონალის წესსა და პირობებში, მისი ოპტიმიზაციის მიზნით.

5.4. მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენელი კვლევითი კომპონენტის ფარგლებში მის დაგეგმვა-განხორციელებასთან და შეფასებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს.

5.4.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს კომისიის მიერ ნაშრომის შეფასებების კომპონენტებს, სამეცნიერო ხელმძღვანელისა და რეცენზენტის დასკვნებს.

5.4.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურთან თანამშრომლობით, გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს და რექტორს, რომელიც მიზანშეწონილობის გათვალისწინებით ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესში, მისი ოპტიმიზაციის მიზნით.

5.5. მოქმედებს პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების განმსაზღვრელი დოკუმენტი, რომლის ძირითადი ამოცანაა უნივერსიტეტში პლაგიატის შემთხვევების მაქსიმალური პრევენცია და ინტელექტუალური უფლებების მაღალი ხარისხით დაცულობის უზრუნველყოფა.

5.5.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს პლაგიატის შემოწმების

ელექტრონულ სისტემას, დეკანის ანგარიშს მისთვის წარდგენილ პერსონალის ნაშრომებში აღმოჩენილ პლაგიატის შემთხვევებთან დაკავშირებით.

5.5.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც მიზანშეწონილობის გათვალისწინებით ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს პლაგიატის აღმოჩენის, თავიდან აცილების, პლაგიატის შემთხვევაზე რეაგირების პროცედურებისა და მექანიზმების განმსაზღვრელ დოკუმენტში. ამასთან, იღებს ზომებს შესაბამისი წესით გათვალისწინებული ღონისძიებების აქტიურად გატარებისა და მეტი ძალისხმევის გამოჩენისთვის უნივერსიტეტში აკადემიური კეთილსინდისიერებისა და შესაბამისი კულტურის დამკვიდრება- განვითარების მიზნით.

6. მმართველობითი ხასიათის პროცესების ხარისხის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტში მმართველობითი ხასიათის პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით:

6.1. მოქმედებს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა, რომლის მიზანია მართვის სისტემის გაძლიერება, მისი მუდმივი შეფასება და განახლება.

6.1.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგებს; პერსონალის შეფასების შედეგებს; მმართველობითი ორგანოების ხელმძღვანელების თვითშეფასება; ბიზნეს პროცესების მიმდინარეობის შეფასების შედეგებს; გარე შეფასების მექანიზმების შედეგებს; უნივერსიტეტში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შეფასების შედეგებს;

6.1.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის უფროსს, რომლებიც მიზანშეწონილობის გათვალისწინებით გეგმავენ გასაუმჯობესებელ აქტივობებს ან/და ახორციელებენ ცვლილებებს მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებსა და შეფასების სისტემაში, მისი ოპტიმიზაციის მიზნით.

6.2. მოქმედებს უნივერსიტეტის დებულება და უნივერსიტეტის შინაგანაწესი, რომლებიც არეგულირებენ უნივერსიტეტის სტრუქტურულ მოწყობას, თანამდებობის პირთა სუბორდინაციას, ანგარიშვალდებულებასა და კომპეტენციების გადანაწილებას. ამასთან, უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილია უნივერსიტეტში შრომითი დისციპლინა და პერსონალის მიერ საქმიანობის ორგანიზაციული მოწესრიგების პირობებში განხორციელება.

6.2.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კმაყოფილების შეფასების კითხვარს.

6.2.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს

უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც მიზანშეწონილობის გათვალისწინებით მიიღებს ცვლილებებს შინაგანაწესში მისი ოპტიმიზაციის მიზნით და მოახდენს დებულებაში ცვლილების შეტანის ინიცირებას აკადემიურ საბჭოში. ამასთან, შედეგების გათვალისწინებით რექტორი იღებს ზომებს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაციის ხარისხის გასაუმჯობესებლად. შედეგების შესახებ ინფორმაცია ასევე მიეწოდება ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, ხარვეზების შემდგომი აღმოფხვრისა და გაუმჯობესების მიზნით.

7. მიწოდებული სერვისების და რესურსების ხარისხის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტში მიწოდებული სერვისებისა და რესურსების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით:

7.1. მოქმედებს სერვისებისა და რესურსების ხარისხის შეფასება საუნივერსიტეტო გარემოს, სასწავლო პროცესისა და საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების მიზნით.

7.1.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევას სერვისების გამოყენებასთან დაკავშირებით.

7.1.2. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობითაც ხდება სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსებით კმაყოფილების შეფასება, მოიცავს ბიბლიოთეკაში სასწავლო მასალის ხელმისაწვდომობის, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენების, პრაქტიკული და კლინიკური უნარების გამომუშავებისთვის საჭირო რესურსებით კმაყოფილებას კვლევას.

7.1.3. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს, ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, ხარვეზების შემდგომი აღმოფხვრისა და გაუმჯობესების მიზნით.

8. საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით განხორციელებული აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტში საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით განხორციელებული აქტივობების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით:

8.1. მოქმედებს სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის მიერ საზოგადოების განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით განსახორციელებელ აქტივობებსა და სოციალური პასუხისმგებლობის ძირითად მიმართულებებს;

8.1.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების. დამსაქმებლების კმაყოფილების კვლევას განხორციელებული აქტივობების შესახებ; სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ყოველწლიური ანგარიშების ანალიზს.

8.1.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს, ცალკეული სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს, ხარვეზების შემდგომი აღმოფხვრისა და გაუმჯობესების მიზნით.

9. ინტერნაციონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფა

უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით:

9.1. მოქმედებს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და შესაბამისი მექანიზმები, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის მიერ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნებსა და ძირითად მიმართულებებს, ამ კუთხით განსახორციელებელ აქტივობებს;

9.1.1. ინსტრუმენტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული მიმართულების შეფასება, მოიცავს სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების. კმაყოფილების კვლევას; უცხოელი პერსონალის მოზიდვის მაჩვენებლების ანალიზს; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის შეფასებას; საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების და მათში ჩართული სტუდენტებისა და პერსონალის მაჩვენებლების ანალიზს.

9.1.2. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ინსტრუმენტებით მიღებული შედეგების შეფასებითა და ანალიზით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკვეთს მიმართულებაში არსებულ ხარვეზებს, გაუმჯობესების შესაძლებლობებს, შედეგებს უგზავნის უნივერსიტეტის რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ხარვეზების შემდგომი აღმოფხვრისა და გაუმჯობესების მიზნით.